სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law - Gori State University

ბრძანება № 1-37

18 05 2023წ.

გორი

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფოტო კონკურსის ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-15 მუხლის 1-ლი და მე-7 პუნქტების, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 აპრილის N09-34 დადგენილებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის (17.05.2023. N554965) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფოტო კონკურსის ჩატარების დებულება დანართის შესაბამისად.

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

5. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

დანართი

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფოტო კონკურსის ჩატარების დებულება

1. აღნიშნული დებულება არეგულირებს სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") პროექტის „ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი მაჩაბელის" ფარგლებში გასამართ მიშო ვანისვილის სახელობის ფოტო კონკურსის (შემდგომში - ,,კონკურსი") ჩატარების წესს.

2. კონკურსი ტარდება საუკეთესო ფოტოს გამოსავლენად.

3. კონკურსის თემა: ,,ახალგაზრდა ხელოვანები მშვიდობისთვის".

4. კონკურსის მიზანია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ახალგაზრდების ხელოვნებით დაინტერესება, ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების წახალისება.

5. კონკურში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოსა და საზღვარგარეთის უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული, ბაკალავრიატის და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს.

6. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო ფოტოები უნდა წარმოადგინონ 2023 წლის 20 მაისიდან 2023 წლის 05 ივლისამდე. კონკურსანტმა საკონკურსო ფოტონამუშევრები უნდა გამოაგზავნოს ელფოსტაზე ir@gu.edu.ge, სადაც სათაურში უნდა მიეთითოს: შესაბამისი თემატიკა. საკონკურსო განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- კონკურსანტის სახელი, გვარი,
- მოკლე ბიოგრაფია/რეზიუმე
- ცნობა უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომ კონკურანტი ნამდვილად სწავლობს პროფესიულ, საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

7. დაუშვებელია ფოტოზე ავტორის ვინაობის/ფსევდონიმის/ლოგოტიპის მითითება/ან ჩარჩოთი გაფორმება. ამგვარი ფოტოები უპირობოდ მოიხსნება კონკურსიდან.

8. კონკურსში მონაწილეობა უფასოა.

9. კონკურსანტს შეუძლია გამოგზავნოს 1-დან 3 ფოტომდე.

10. კონკურსანტი ვალდებულია იყოს ნამუშევრის ავტორი და გააჩნდეს ამ ფოტოს ორიგინალი.

11. კონკურსანტი ვალდებულია, ორგანიზატორების მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ფოტოს დედანი ფაილი.

12. დამუშავება ციფრული რედაქტორების საშუალებით შესაძლებელია, მაგრამ აკრძალულია ფოტომონტაჟი.

13. წარმოდგენილი ფოტოს დიდი მხარე უნდა იყოს არანაკლებ 2000 პიქსელი, JPG ფორმატი, ფაილის მაქსიმალური ზომა 2 MB.

14. ფოტოები არ უნდა შეიცავდეს სარეკლამო, ტექსტურ წარწერებს ან გრაფიკულ ელემენტებს, რაც არ წარმოადგენს კომპოზიციის ორიგინალურ ნაწილს. ტექსტის შემცველი ფოტოები მომენტალურად დისკვალიფიცირდება.

15. ჟიური ნამუშევრებს განიხილავს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, კონკურსის თემა, ტექნიკური შესრულება, კომპოზიცია და ორიგინალურობა.

16. კომპეტენტური ჟიური, გამოავლენს 10 საუკეთესო ფოტოს, ხოლო კონკურსის კონკრეტულ თემატიკაში გამარჯვებულებს, რომლებიც დაიკავებენ I, II, III ადგილებს, გადაეცემათ პროექტით გათვალისწინებული ფულადი სტიპენდიები:

I ადგილი - 1500 ლარი;

II ადგილი - 1000 ლარი;

III ადგილი - 500 ლარი.

17. ჟიურის მიერ შერჩეული 10 საუკეთესო ფოტო დაიბეჭდება უნივერსიტეტის ხარჯით მუყაო-ქაფზე და გამოიფინება უნივერსიტეტის ჰოლში.

18. ჟიურის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი სოსიაშვილი, ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი;

ბ) ალექსანდრე მღებრიშვილი, ფესტივალის საორგანზაციო ჯგუფის წევრი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;

გ) გიორგი ხორბალაძე, ფესტივალის საორგანზაციო ჯგუფის წევრი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი.

Appendix

Regulations for holding a photo contest at Gori State Teaching University

1. This regulation regulates the rules of holding a photo contest (hereinafter referred to as the "Contest") within the framework of the "International Art Festival Machabeli" project of LEPL Gori State Teaching University (hereinafter "University").

2. The competition is held to reveal the best photo.

3. Theme of the competition: "Young Artists for Peace".

4. The aim of the competition is to interest young people in art at the national and international levels, to popularize the arts and to encourage young people with creative talents.

5. Vocational, undergraduate and postgraduate students / professional students of higher / vocational educational institutions of Georgia and abroad have the right to participate in the competition.

6. Those wishing to participate in the competition must submit the competition photos from May 20, 2023 to July 05, 2023. The contestant should send the competition photos to ir@gu.edu.ge, where the title should indicate: relevant topic. The application form must contain the following information:

- Name of the contestant, surname,
- Short biography / resume
- A certificate from a higher / vocational education institution that the competitor is actually studying for a vocational, undergraduate or graduate education program.

7. It is not allowed to indicate the author's identity / pseudonym / logo on the photo / or to frame it. Such photos will be unconditionally removed from the contest.

8. Participation in the competition is free.

9. A contestant can submit 1 to 3 photos.

10. The contestant is obliged to be the author of the work and have the original of this photo.

11. The contestant is obliged to submit the original file of the photo immediately at the request of the organizers.

12. Editing with digital editors is possible, but photomontage is prohibited.

13. The large side of the submitted photo must be at least 2000 pixels, JPG format, maximum file size 2 MB.

14. Photos should not contain advertising, text captions or graphic elements that are not part of the original composition. Photos containing text are instantly disqualified.

15. The jury will consider the works taking into account various factors, namely the theme of the competition, technical performance, composition and originality.

16. Competent jury will reveal the 10 best photos, and the winners of the specific themes of the competition, who will take the I, II, III places, will be awarded the cash scholarships provided by the project:

- I place - 1500 GEL;
- II place - 1000 GEL;
- III place - 500 GEL.

17. The 10 best photos selected by the jury will be printed at the expense of the University on cardboard-foam and exhibited in the University Hall.

18. The composition of the jury shall be determined by the following composition:

A) Giorgi Sosiashvili, Head of the Organizing Group of the Festival, Rector of Gori State Teaching University, Professor;

B) Aleksandre Mghebrishvili, member of the organizing group of the festival, Deputy Rector of Gori State Teaching University, Professor;

C) Giorgi Khorbaladze, member of the organizing group of the festival, head of the administration of Gori State Teaching University, professor.